კულტურის სფეროს პროდუქტის საგანმანათლებლო შემეცნებითი ფუნქცია

დოდო ჭუმბურიძე
ხელოვნების მენეჯმენტის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი
dodotchumburidze@gmail.com

საკვანძო სიტყვები: კულტურის სფერო, საგანმანათლებლო შემეცნებითი ფუნქციები

კულტურის სფეროს პროდუქტების საგანმანათლებლო-შემეცნებითი ფუნქცია ხაზგასმით გამოხატავს კულტურის სფეროს სპეციფიურობას. კულტურა მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ სფეროს, სადაც მნიშვნელოვანია, როგორ წარიმართება შემოქმედებითი პროცესი და რა იქნება მიღწეული შედეგი. კულტურის სფეროს პროდუქტების საგანმანათლებლო კომპონენტის გაძლიერება დადებით ასახვას ჰპოვებს მოზარდებზე და ახალგაზრდებზე.

„ცნებაში „კულტურის სფერო" იგულისხმება საწარმოთა, დაწესებულებათა და არაკომერციულ ორგანიზაციათა ერთობლიობა, რომლებიც, ოფიციალური კლასიფიკაციის თანახმად, განეკუთვნება კულტურისა და ხელოვნების ქმნილებების, არამატერიალური მომსახურების მწარმოებელ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სექტორს. კულტურის სფეროს განვითარების დაგეგმვა უნდა წარმოადგენდეს მიზნობრივი ორიენტაციისა და აუცილებელი შედეგების მიღწევის, კულტურის სფეროში მოღვაწე სხვადასხვა სუბიექტის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, საზოგადოებისთვის კულტურის სფეროს მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა ერთობლიობას.[1]"

საქართველოში კულტურის სფეროს ორგანიზაციების განვითარება და წინსვლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის პრიორიტეტებზე და სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებზე. „კულტურის სფეროს ორგანიზაციები უნდა იყვნენ წახალისებულნი, იმისთვის, რომ მოიძიონ კერძო სპონსორები, ან დონორები სახელმწიფო უწყებების, ან არაკომერციული ფონდების დახმარებით, ხოლო მათგან შემოსული დაფინანსება უნდა გაუტოლდეს სპონსორობით მოძიებულ თანხებს.[2]"

საქართველოში კულტურის სფეროს კონკრეტული პროექტები სახელმწიფოსაგან რეგულარულ ფინანსურ მხარდაჭერას საჭიროებენ, რაც საკმაოდ ხშირად, სხვადასხვა მიზეზების გამო (ფინანსური პრობლემები, ხელისუფალთა მხრიდან პოლიტიკური ნების არქონა და სხვა) ვერ ხერხდება. აღსანიშნავია რომ, კულტურის სფეროს განვითარება და ეფექტიანი ფუნქციონირება, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენს ინვესტიციების მოზიდვაზე, რაც აუცილებელია ქვეყანაში ან მის რომელიმე რეგიონში ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად და სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად.

საერთაშორისო მასობრივი კულტურული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს ქვეყნის დადებითი იმიჯის გაძლიერებას და ქვეყნის კულტურული რესურსების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას. კულტურა, როგორც შეთანხმებათა სისტემა, კულტურულ - ისტორიული მემკვიდრეობის დაცვასა და გავრცელების ხელშეწყობას, ხელოვნებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის საშუალებით სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებასა და სფეროს ორგანიზება-მართვას მოიცავს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ორგანიზაცია წარმატებას აღწევს, როდესაც მისი მომხმარებელი კმაყოფილია. მომხმარებელთა ლოიალურ დამოკიდებულებას მნიშვნელოვანწილად თანამშრომლები განაპირობებენ. ორგანიზაცია წარმატებულია, თუ მის ყველა თანამშრომელს შეუძლია იფიქროს წარმატებაზე და აქვთ მისწრაფება საკუთარი წვლილი შეიტანონ იდეის განხორციელებაში. „მენეჯმენტი ეს არის საქმიანობის განსაკუთრებული სახე, რომელიც არაორგანიზებულ ბრბოს გადააქცევს ეფექტიან, მიზანმიმართულ და მწარმოებელ ჯგუფად.[3]"

დღეისათვის მართვა განიხილება როგორც პროცესი, რომელიც შედგება ერთმანეთან დაკავშირებული დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციის და კონტროლის ფუნქციებისგან. ღონისძიების წარმატება დამოკიდებულია რეალურ შედეგზე ორიენტირებულ და დროში გაწერილ სამოქმედო გეგმაზე.

„გეგმის წარმატება სწორი საპროგრამო შეთავაზებით იწყება: გეგმის მოწონების შემდეგ, აუცილებელი ხდება კოლეგების გათვითცნობიერება, რადგან შესაძლოა, ვინმე მნიშვნელოვანი თანამშრომელი გეგმის გარეშე დარჩეს და ამდენად, სათანადოდ ვეღარ შეასრულოს საქმის მასზე დაკისრებული ნაწილი.[4]"

კულტურის სფეროს პროექტებისა და პროგრამების შემუშავებისას მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მიზნობრივი ჯგუფების განსაზღვრა. სამიზნე აუდიტორიის დამოკიდებულების და მოლოდინების ცოდნა აადვილებს კონკრეტული პროექტის ფარგლებში არსებული მიზნის მიღწევის შესაძლებლობას და ორგანიზატორებს აახლოებს სასურველ შედეგთან. წარმატებული კულტურის სფეროს

[1] სანადირაძე ნ., - „კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება", თბ. 2011, გვ. 47

[2] ჰაგორტი ჰ., - „სახელოვნებო მენეჯმენტი", თბ., 2013, გვ. 39-40

[3] Mescon H., Albert M., Khedouri F., - Managament, Harper and row, publishers, New York, 2007.

[4] „საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი" - ბრუმი გლენ მ., კატლიპი სკოტ მ., სენტერი ა. თბ. 2010., გვ. 238

პროექტები აღემატება მხოლოდ მიზნობრივი აუდიტორიის კმაყოფილებას და ის მაშტაბურ განვრცობას ჰპოვებს საზოგადოებაზე.

კულტურის სფეროს პროდუქტების, კერძოდ, მასობრივი კულტურული ღონისძიებების ძირითადი მომხმარებლები (პირდაპირი და არაპირდაპირი ბენეფიციარები) სწორედ ახალგაზრდები არიან.

საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრულია ახალგაზრდის ასაკობრივი ზღვარი, რომლის გათვალისწინებაც მიზანშეწონილია ახალგაზრდულ სეგმენტზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებისას „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა არეგულირებს 14–29 წლის პირთა განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს, სახელმწიფო სტრუქტურების, ახალგაზრდების, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორისა და საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით, ითვალისწინებს რა ევროპულ და საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო გამოცდილებას.

ახალგაზრდული პოლიტიკა წარმოადგენს კონცეპტუალურ დოკუმენტს და ის საფუძვლად უნდა დაედოს მთავრობის მიერ ახალგაზრდობასთან დაკავშირებით განხორციელებულ ქმედებებს.[5]“

საქართველოში უკვე 5 წელია ევროპის დაბადების დღე საზეიმოდ, მასშტაბური ღონისძიებით აღინიშნება. წელს[6] ევროსოფელი რიყის პარკში მოეწყო. სტუმრებს სიმბოლურად ევროკავშირში მოგზაურობა, ევროპის ქვეყნების კულტურული რესურსების და ტრადიციის გაცნობა შეეძლოთ.

ევროპის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამოხატავს ქვეყნის მისწრაფებას ევროპისკენ, სანახაობრივი, შემეცნებითი კულტურული ღონისძებების თანმდევია მთავარი შეტყობინება, რომელიც აღვივებს საზოგადოების განწყობას და მისწრაფებას. ევროპის დღის აღნიშვნა ქვეყნის დამოკიდებულებას საერთაშორისო არენაზე ღიად წარმოაჩენს, „აზრის ლიდერთა“ ჩართულობით ძლიერდება დამოკიდებულება იმის შესახებ, რომ ევროკავშირის წევრობა საქართველოს მოუტანს მშვიდობის და სტაბილურობას.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის მასობრივი ღონისძიებების დაგეგმვა – განხორციელებისას საგულისხმოა ახალგაზრდების ჩართულობა. სწორედ აღნიშნული სეგმენტის ჩართულობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას და პოზიტიურ უკუკავშირს. საყურადღებოა სახელმწიფოს პრიორიტეტების და ახალგაზრდების საჭიროებათა თანხვედრა, მხოლოდ შედეგზე ორიენტირებული ღონისძიება შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად.

სახელმწიფო პრიორიტეტების აღქმას აადვილებს სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ნათლად ჩანს წლის განმავლობაში სახელმწიფო რაში გეგმავს თანხების გადანაწილებას.

„თანამედროვე ეკონომიკაში, სადაც გაცვლის უნივერსალურ საშუალებად ითვლება ფული, გამოიყენება გამოთქმა „კულტურის დაფინანსება“, რადგანაც აქ ლაპარაკია ფულადი სახსრების გამოყოფაზე, რომელიც აუცილებელია მატერიალური დანახარჯების დასაფარად და ხელფასების გასაცემად ამ სფეროში მომუშავეთათვის.

სახელმწიფოში საზოგადოებრივ მოწყობასთან დამოკიდებულებით არსებობს სამი ძირითადი საშუალება კულტურის დაფინანსებისა: საბაზრო, საბიუჯეტო და შერეული.[7]“

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის ინიციატივითა და ევროპის პარლამენტის გადაწყვეტილებით, 2018 წელი კულტურული მემკვიდრეობის წლად გამოცხადდა. საქართველოს მთავრობა შეუერთდება აღნიშნულ ინიციატივას.

ახალგაზრდულ სეგმენტზე ორიენტირებული მასშტაბური მასობრივი ღონისძიებების განხორციელება იგეგმება წლის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებებისთვის[8] 4 580 000 ლარია გამოყოფილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მასობრივი კულტურულ, საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტების ორგანიზატორებს სახელმწიფო მიერ გამოყოფილი თანხების პარალელურად შესაძლოა დამატებითი თანხების მობილიზება დასჭირდეთ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და წარმოჩენის მიზნით, საკვანძოდ მნიშვნელოვანია კულტურულ საგანმანათლებლო შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს მოქმედმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ შედეგზე ორიენტირებული მიზნობრივი აიდიტორიის გათვალისწინებით შემუშავებული პროექტების განხორციელების ხელშეწყობაზე.

---

[5] „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ http://msy.gov.ge

[6] 2018 წლის 5 მაისს „ევროპის დღე“ აღინიშნა რიყის პარკში სადაც წარმოდგენილი იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების საინფორმაციო სტენდები, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, გათამაშებები, პრიზები და გასართობი პროგრამები. მასშტაბური ღონისძიება ევროპის მოედანზე გალა კონცერტით დასრულდა.

[7] დრაგიჩევიჩ–შეშიჩი მ., სტოიკოვიჩი ბ.,– „კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი“, თბ. 2007, გვ. 99

[8] „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდი 32 08 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი) mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/saboloo/programuli-11.12.2017.pdf

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრუმი გლენ მ., კატლიპი სკოტ მ., სენტერი ა. (2010)„საზოგადოებასთან ურთიერთობის შესავალი“
2. სანადირაძე, ნ. (2011).„კულტურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება“
3. დრაგიჩევიჩ-შეშიჩი მ., სტოიკოვიჩი ბ., (2007) „კულტურა, მენეჯმენტი, ანიმაცია, მარკეტინგი“
4. ჰაგორტი, ჰ. (2013). „სახელოვნებო მენეჯმენტი“
5. Mescon H., Albert M., Khedouri F., (2007) Managament, Harper and row, publishers, New York
6. „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“ http://msy.gov.ge
7. „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი (კოდი 32 08 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი) mof.ge/images/File/biujetis-kanoni2018/saboloo/programuli-11.12.2017.pdf

EDUCATIONAL COGNITIVE FUNCTION OF PRODUCTS OF CULTURAL SPHERE

TCHUMBURIDZE DODO
Ph.D. in Art Management,
Associated Professor
Shota Rustaveli theatre and Film Georgian state university, Georgia
dodotchumburidze@gmail.com

KEYWORDS: CULTURAL SPHERE, EDUCATIONAL COGNITIVE FUNCTION

SUMMARY

In the article the educational-cognitive function of products of cultural sphere on the example of a specific event is discussed. Culture involves a specific area of public life where it is important to see how the creative process is going and what will be achieved. Strengthening the educational component of the products of cultural sphere is finding a positive reflection on adolescents and young people.

The main consumers of the products of cultural sphere, of particularly mass cultural events (direct and indirect beneficiaries) are young people.

Culture as a system of conservation, involves promoting the protection and distribution of cultural - historical heritage, organizing-managing ofsettling civil values through art and educational activities.

It is noteworthy that by the European Commission's initiative and decision of the European Parliament, 2018 was declared a year of cultural heritage. The Government of Georgia will join the initiative. The governmental and non-governmental organizations in the field of culture should take care about supporting with foreseeing of the result based target audience implemented projects. For the purpose of preserving and preserving cultural heritage, it is important to support the cultural-education cognition projects.